

სერტიფიცირების კრიტერიუმები ბრენდის სტატუსის მაძიებელი/განმცხადებლისთვის  
„NNN რეგიონული პროდუქტი“

სექცია A - კრიტერიუმები მეწარმეებისათვის

1) ადგილობრივი მეწარმე

ა) მეწარმე, კომპანია, ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს მხოლოდ მითითებული რეგიონის საზღვრებში (იხ. თანდართული რუკა და დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი);

*ვერიფიკაცია - სარეგისტრაციო დოკუმენტები, ორგანიზაციის ოფისის, საწარმოს მისამართი და/ან რეგისტრაციის მისამართი;*

ბ) ფერმერი, რომელიც მუშაობს რეგიონის საზღვრებში შემავალ მიწის ნაკვეთზე და/ან ეწევა სოფ. მეურნეობის სხვა დარგებში საქმიანობას, რისთვისაც იყენებს რეგიონის საზღვრებში მოქცეულ რესურსებს (იხ. თანდართული რუკა და დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი);

*ვერიფიკაცია: მიწის საკადასტრო კოდი და ამონაწერი, არენდა/იჯარის ხელშეკრულება;*

გ) მეფუტკრე, რომლის ფუტკრების ოჯახებიც განთავსებულია რეგიონის საზღვრებში შემავალ ტერიტორიებზე და საკვებად იყენებენ რეგიონის ბუნებრივ რესურსებს (იხ. თანდართული რუკა და დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი);

*ვერიფიკაცია: ადგილობრივი თვითმმართველობისგან დასტურის წარდგენა, რეგიონის მეფუტკრეთა კოოპერატივისგან დადასტურების წარმოდგენა;*

დ) ადგილობრივი დამსაქმებელი, რომელიც იყენებს ადგილობრივ სამუშაო ძალას გარკვეული პროცენტული თანაფარდობით;

*ვერიფიკაცია: დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის შესახებ მეწარმე სუბიექტის მიერ ხელმოსწერილი ცნობა (არსებობის შემთხვევაში HR ხელმძღვანლის ხელმოწერით)*

2) წარმოების შესაბამისი კვალიფიკაცია

თუ მეწარმეები ეწევიან ისეთ საქმიანობას, რომელიც მოითხოვს კანონმდებლობით მოითხოვს ლიცენზიას და/ან ნებართვას უნდა ფლობდნენ მოქმედ შესაბამის ლიცენზიას; სხვა შემთხვევაში მეწარმეს უნდა იყოს ერგისტირებული ეკონომიკურ სამიანობათა რეესტრში;

*ვერიფიკაცია: ამ დოკუმენტების წარმოდგენა;*

3) დავალიანების გარეშე

რეგიონული ბრენდის სავაჭრო მარკის მაძიებელმა უნდა განაცხადოს, რომ მას არ აქვს დაწყებული ლიკვიდაციის პროცედურები; არ გააჩნია ბიუჯეტის და მიმართ დავალიანება; საგადასახადო სამსახურს მის მიმართ არ აქვს აღძრული სასამართლოში საქმე; კომპანია არ არის გაბანკროტების კანდიდატი, არ არის დაყადაღებული;

*ვერიფიკაცია: შესაბამისი სამსახურებიდან წარმოდგენილი ცნობები;*

4) წარმოების ხარისხის სტანდარტის გარანტიები

კომპანიამ უნდა დაადასტუროს, რომ იგი იცავს კანონით დადგენილ ყველა სამართლებრივ ნორმასა და ხარისხის სტანდარტებს, რომელიც განკუთვნილი კონკრეტული

პროდუქციისთვის (სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური სტანდარტები, სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის და სხვ.)

*ვერიფიკაცია: მოწოდებული ინფორმაცია დაადასტუროს წერილობით და ხელმოწერით; ეჭვის რასებობის შემთხვევაში შესაბამისი უწყებებიდან ინფორმაციის გამოთხოვა ადმინისტრაციული ჯარისკაცის/საქმის წარმომის შესახებ;*

#### **5) საწარმოო პროცესი უარყოფით გავლენას არ ახდენს გარემოზე**

მეწარმის საქმიანობა არ ახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე იმაზე მეტად, ვიდრე ეს დადგენილია შესაბამის ნორმატიული რეგულაციებით და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, კომპანიის ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ახდენს ან მომავალში დაიცავს ეკოლოგიური უსაფრთხოების ქვემოთ ჩამოთვლილ პრინციპებს:

- წყლის რესურსების ეკონომია - წყლის ეკონომია; წყლის რესურსების ეკონომიისთვის სპეციალური დანადგარები; ტექნიკური და სასმელი წყლის განმაცალკევებელი დანადგარები/პროცესები (ტექნიკურ/ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში); ჩამდინარე წყლებისთვის მოწყობილი სპეციალური ჭა; ჭების გასაწმენდად ბიოხრწნადი გამწმენდი აგენტების გამოყენება და/ან მათი მექანიკური ამოსუფთავება; დაუშვებელია და ბრენდის მინიჭებისთვის უპირობო ბარიერია ჩამდინარე წლების ყოველგვარი ბარიერებისა და გამწმენდი ნაგებობების ბუნებრივი წლის რესურსებთან მიერთება;
- ენერჯის ეკონომია - ენერჯის დაზოგვაზე მიმართული ღონისძიებები; ენერგოეფექტური მოწყობილობებისა და დანადგარების გამოყენება; ეკონომიური განათების საშუალებები, რეგულირებადი გათბობის სისტემები (გაცილებით დაბალი ტემპერატურა შენობებში სადაც არ არიან ადამიანები); თბოიზოლაციური შენობა-ნაგებობები; ენერჯის განახლებადი სისტემებისა ალტერნატიული წყაროების გამოყენება (ტექნიკურ/ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით);
- ნარჩენების მართვა - ნარჩენების მინიმიზაცია და დახარისხება (თუ კი ამის შესაძლებლობა არსებობს); კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივ თვითმმართველობასთან ნარჩენების გატანაზე გაფორმებული ხელშეკრულება; ნარჩენების გატანა (გადაყრა) მხოლოდ ამისთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილებში/კონტეინერებში; ყოვლად დაუშვებელია და ბრენდის მინიჭებისთვის უპირობო ბარიერია ნარჩენების თვითნებურად, სტიქიურად გატანა/გადაყრა;
- მასალა - უპირატესობა ენიჭება შესაფუთი მასალის მეორადად გამოყენებას (მინის ბოთლები, თიხის, ხის და.ა.შ); არ გამოიყენება ან მინიმუმადეა დაყვანილი საშიში ნივთიერების გამოყენება (ტოქსიკური, კარცენოგენული ან ადვილად დააღებადი) და მათი უტილიზაციის შესაბამისი რეგულაციების დაცვა;
- ფერმერები - რომლებიც არიან ბიო-ორგანული სერტიფიკატის მფლობელები და/ან დაწყებული აქვთ სერტიფიცირების პროცედურები შესაბამის აკრედიტირებულ ორგანიზაციებში; აღნიშნული წარმოადგენს ქიმიური პრეპარატების გამოყენების მინიმიზაციას (ქიმიური სასუქები და შხამ-ქიმიკატები, პესტიციდები), ცხოველებთან „ეთიკური“ მოპყრობა;

- ინფორმაცია, რომ კომპანიის/საწარმოს მიმართ გარემოს ზედამხედველობის სამსახურს არ გამოუყენებია ადმინისტრაციული ჯარიმა, არ აღუძრავს სასამართლო საქმე;

*ვერიფიკაცია: განმცხადებლის წერილობითი დადასტურება. ორგანული მეურნეობის სერტიფიკატის წარმოდგენა ან ცნობა აკრედიტირებული სასერტიფიკატო ორგანიზაციიდან, რომ მეწარმე ჩართულია ორგანული მეურნეობის სერტიფიცირების პროცესში; სერტიფიცირების კომისია განიხილავს განმცხადებლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ხოლო დაეჭვების შემთხვევაში მას აქვს უფლება მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ უწყებებს (გარემოს დაცვის, ვეტერინარიის და ა.შ. ადგილობრივ/ეროვნულ სამსახურებს) და მოითხოვოს ინფორმაცია და/ან გადამოწმება; ბრენდის კოორდინატორს აქვს უფლება ადგილზე შეამოწმოს მეწარმის მიერ მოწოდებული ინფორმაცია;*

## სექცია B - კრიტერიუმები პროდუქტისთვის

- 1) **სამომხმარებლო პროდუქტები, ხელოვნების ნიმუშები, სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი პროდუქტები, რომლებიც იწარმოება რეგიონის საზღვრებში**

იმისათვის, რომ სასერტიფიკაციო კომისიამ შეაფასოს პროდუქტი, საჭიროა პროდუქტის კომისიაში წარდგენა, რაც გულისხმობს პროდუქტის ნიმუშის (პროდუქტთა ჯგუფისთვის - ნიმუშების), პროდუქტის ფოტოებისა და პროდუქტისა და საწარმოო პროცესის დეტალური აღწერილობის წარდგენას.

იმ შემთხვევაში თუ წარმოების ზოგიერთი ეტაპი ხორციელდება რეგიონის საზღვრებს გარეთ, კომისია დებულობს გადაწყვეტილებას, მიაკუთვნოს თუ არა პროდუქტი რეგიონულ ბრენდს (მას შემდეგ, რაც გაეცნობა საწარმოო პროცესის დეტალურ აღწერილობას და/ან დასაბუთებას), რაც ნიშნავს იმას რომ, რომ კომისია განსაზღვრავს კონკრეტული პროდუქტისთვის რეგიონში მიმდინარე საწარმოო პროცესი არის ძირითადი თუ არა (მაგ, პროდუქტი იწარმოება რეგიონში, მაგრამ შეფუთვა ხდება სხვა რეგიონში)

*ვერიფიკაცია: კომიტეტის მიერ პროდუქტის და წარმოების პროცესის განხილვა/შეფასება*

- 2) **ხარისხის სტანდარტის გარანტია**

განმცხადებელი იძლევა გარანტიას, რომ პროდუქტი შეესაბამება ყველა დადგენილ ნორმასა და სტანდარტს;

*ვერიფიკაცია: განმცხადებლის მიერ წერილობითი დასტური, სასერტიფიკაციო კომიტეტის შეფასება; ეჭვის შემთხვევაში კომისია მიმართავს აკრედიტირებულ ლაბორატორიებს ანალიზის ცატარების მიზნით (პირველ ეტაპზე, იმისათვის, რომ აპლიკანტს არ შევუქმნათ დამატებითი ფინანსური და ადმინისტრაციული ბარიერები, ანალიზის ჩატარების ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფ ბრენდი)*

- 3) **ეკოლოგიურობა:** პროდუქტის საციცოხლო ციკლის ნებისმიერ ეტაპზე (ნედლეული, წარმოება, შეფუთვა, გამოყენება ლიკვიდაცია), არც პროდუქტი და არც მისი შეფუთვა, დადგენილი ნორმების შესაბამისად, არ ახდენს მავნე გავლენას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე და ტექნიკური და ეკონომიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით ის აკმაყოფილებს ან დააკმაყოფილებს შემდეგ პრინციპებს:

- ნედლეული - უპირატესობა ენიჭება ისეთს, რომელიც ექვემდებარება მეორად გადამუშავებას და/ან სრულად გამოყენებას, არის ბიოხრწნადი და არ შეიცავს მავნე ნივთიერებებს; არის ადგილობრივი წარმოშობის ნედლეული!!!!
- შეფუთვა - უპირატესი და ეფექტურია მცირე გაბარიტების, შესაძლებელია მისი დაბრუნება და ხელმეორედ გამოყენება (დამოკიდებულია შესაფუთ მასალაზე მაგ. მინის ბოთლი); იმ შემთხვევაში თუ პროდუქტის ხასიათი იძლევა საშუალებას, აპლიკანს მიეცეს რეკომენდაცია მაგ. პლასტიკი ჩანაცვლოს სხვა ბიოხრწნადი (მაგ. ქაღალდი) ან მეორადი გამოყენების შესაფუთი მასალით. ამ დროს შეჩერდეს ბრენდირების პროცესი, მიეცეს აპლიკანს რეკომენდაციის შესრულებისათვის გონივრული ვადა და განახლდეს რეკომენდაციის შესრულების შემდეგ.
- პროდუქტის ბუნება - პოროდუქტი მთელი თავისი შინაარსით არ ახდენს მავნე გავლენას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე (ხელნაკეთი ნივთების შემთხვევაში არ არის ერთჯერადი გამოყენების)

*ვერიფიკაცია: განმცხადებლის წერილობითი დადასტურება. სერტიფიცირების კომისია განიხილავს განმცხადებლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ხოლო დაეჭვების შემთხვევაში მას აქვს უფლება მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ უწყებებს (გარემოს დაცვის, სურსათის და ვეტერინარიის ადგილობრივ/ეროვნულ სამსახურებს) და მოითხოვოს ინფორმაცია და/ან გადამოწმება;*

#### 4) უნიკალურობა რეგიონის მიხედვით

პროდუქტი უნდა წარმოადგენდეს რეგიონის უნიკალურ/ავთენტურ კუთვნილებას, ამ კრიტერიუმის მინიჭება შესაძლებელია თუ პროდუქტი კომიტეტის შეფასებით დააგროვებს მინიმუმ 10 ქულას ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეკრიტერიუმების მიხედვით:

##### ა) ტრადიციული ადგილობრივი პროდუქტი

პროდუქტი და/ან საწარმო რეგიონში არსებობს/მოქმედებს

0-1 წელი	➔ ქულა:	0
1-3 წლამდე	➔ ქულა:	1
3-5 წელი	➔ ქულა:	2
6-10 წელი	➔ ქულა:	3
11-30 წელი	➔ ქულა:	4
30 წელზე მეტი	➔ ქულა:	5

ეს შეიძლება ეხებოდეს: კონკრეტული ტიპის პროდუქტს, ან საწარმოო ტექნოლოგიას (თუმცა პროდუქტი შეიძლება იყოს ახალი), ან კომპანიას (რომელიც ხანგრძლივად ფუნქციონირებს რეგიონის ტერიტორიაზე, თუმცა იყენებს ახალ ტექნოლოგიებს და/ან ქმნის ახალ პროდუქტს)

*ვერიფიკაცია - სამეწარმეო ამონაწერის; წერილობითი დოკუმენტის და/ან ისტორიულ/მეცნიერული წყაროს წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებს პროდუქტის და/ან ტექნოლოგიის და/ან საწარმოს წარმომავლობას;*

##### ბ) ადგილობრივი ნედლეული

პროდუქტი სრულად ან ნაწილობრივი იწარმოება რეგიონის საზღვრებში არსებული ადგილობრივი ნედლეულისგან, დაუშვებელია ადგილობრივი ნედლეულის იმავე სახეობის სხვა რეგიონის ნედლეულთან შერევა, კომბინირება და/ან ჩანაცვლება; პროდუქტი ფასდება ქულებით თუ ის შეიცავს:

ადგილობრივი ნედლეულის 10 %	➔ ქულა:	0
ადგილობრივი ნედლეულის 20 %	➔ ქულა:	1
ადგილობრივი ნედლეულის 40 %	➔ ქულა:	2
ადგილობრივი ნედლეულის 60 %	➔ ქულა:	3
ადგილობრივი ნედლეულის 80 %	➔ ქულა:	4
მხოლოდ ადგილობრივი ნედლეულს (100 %)	➔ ქულა:	5

პროცენტი შეიძლება ეხებოდეს წონას, მოცულობას შემადგენელ ნედლეულს/ნაწილებს. ეს შეფასება არ ეხება შეფუთვებს. ისეთი დანამატები, რომლებიც არ მოიპოვება რეგიონში მაგრამ აუცილებელია პროდუქტისთვის (მაგ. მარილი) მხედველობაში არ მიიღება.

კონკრეტული დასახელების პროდუქტებს ენიჭებათ 5 ქულა (100%). მათ მიეკუთვნება: რძე და რძის პროდუქტები, თაფლი, კვერცხი, ხილი, ბოსტნეული, მწვანელი, ტყის პროდუქტები, მინერალური და მტკნარი სასმელი წყალი და სხვა ნატურალური პროდუქტები;

*ვერიფიკაცია: პროდუქტისა და მისი შემადგენელი ნედლეულის აღწერილობა უნდა წარმოადგინოს განმცხადებელმა. სასერტიფიკაციო კომისია განიხილავს, ახდენს ინფორმაციის მოძიებას ადგილობრივი საკრებულოებისა და "ინფორმირებული არასპეციალიტებისგან"; ადგენს მეწარმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობას;*

**გ) -ხელით შრომა, ხელნაკეთი ნივთები და გონებრივი/ინტელექტუალური შრომა**

პროდუქტი იწარმოება (ნაწილობრივ მაინც) ხელით, არის ხელნაკეთი ნივთი ან/და გონებრივი შრომის შედეგი. ეს ნიშნავს, რომ ოსტატი/ავტორი პროდუქტს/ხელოვნების ნიმუშს სძენს განსაკუთრებულ ორგინალურობას და თითოეული ნიმუში არის უნიკალური; ოსტატს/ავტორს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა მარტივი დანადგარები/ინსტრუმენტები (მაგ. ელექტომოწყობილობები), თუ რა თქმა უნდა პროდუქტი სრულადაა დამოკიდებული მის პერსონალურ ოსტატობაზე პროდუქტი ფასდება ამ კრიტერიუმით თუ ხელით/ გონებრივი შრომის წილი საწარმოო პროცესში არის:

სრულად ავტომატიზირებული პროცესი 0%	➔ ქულა:	0
საჭიროებს წარმოების პროცესის 20 %	➔ ქულა:	1
საჭიროებს წარმოების პროცესის 50 %	➔ ქულა:	2
საჭიროებს წარმოების პროცესის 70 %	➔ ქულა:	3
საჭიროებს წარმოების პროცესის 95 %	➔ ქულა:	4
საჭიროებს წარმოების პროცესის 100 %	➔ ქულა:	5

ზემოთ მოცემული პროცენტი გამოხატავს დროის იმ წილს, რომლის განმავლობაშიც მწარმოებელი/ავტორი უშუალოდ მონაწილეობს მოცემული პროდუქტის წარმოების პროცესში. დრო, რომლის დროსაც პროდუქტი „თვითონ მუშაობს“ (მაგ, გაგრძელება, გაშრობა, გამყარება, მომწიფება და ა.შ) არ მიიღება მხედველობაში. გონებრივი სამუშაოს შესრულებაში ავტორის დრო ითვლება სრულად და არა მარტო პროდუქტის საბოლოო სახის შექმნისთვის (მატარებელზე დატანის დრო მაგ. წიგნის ან და CD)

*ვერიფიკაცია - სერტიფიცირების კომისიის შესაფება მწარმოებლის მიერ წარმოდგენილი წარმოების პროცესის დეტალური ანალიზის საფუძველზე*

**დ) მეწარმე მუშაობს რეგიონის სპეციფიურ მოტივებზე/რეგიონისათვის სპეციფიურ პროდუქციაზე**

ხელოვნების ნიმუშებიზე მუშაობისას (ნახატები, სუვენირები, დეკორაციები, სამკაულები, ფოტოები, წიგნები, ბეჭდვითი ვიზუალური მასალა) პროდუქციის უნიკალურობა გამოხატავს რეგიონის სპეციფიურ მოტივებს/ტრადიციებს:

საერთოდ არ არის დაკავშირებული რეგიონთან	➔ ქულა:	0
რეგიონთან დაკავშირებული მოტივი, მაგრამ ეს არ არის სპეციფიკური - ზოგადად ბუნება, სოფლის ცხოვრება, სოფლის მეურნეობის პროდუქცია	➔ ქულა:	1
ბუნებრივი ან სოფლის მოტივი, რომელიც ეხება რეგიონისთვის დამახასიათებელ რამეს (ატმის ხე, სოფლის მამულები, მდინარეები ...)	➔ ქულა:	3
მოტივი პირდაპირ რეგიონიდან - გომბორის მთა, ალაზნის მდინარე, ქალაქი, ძეგლი, პიროვნება, ლეგენდა და ა.შ..	➔ ქულა:	4
მოტივი პირდაპირ რეგიონიდან, მათ შორის აღწერა / ახსნა / სათაური	➔ ქულა:	5
<b>დამატებითი ქულა</b> თუ ნაწარმობის სახელი შეიცავს ადგილობრივ რეგიონისთვის სპეციფიურ სახელს (მაგ. ფერწერული ტილო „ალაზნის ველი“)	➔ ქულა:	+1

სასოფლო-სამეურნეო, ბუნებრივ პროდუქტს შეუძლია თავისი სპეციფიკის მიხედვით მიიღოს ქულა კონკრეტული ლოკაციისთვის რეგიონში

პროდუქტი საერთოდ არ ეხება რეგიონს (თვითმფრინავები, მობილური...)	➔ ქულა:	0
სასოფლო-სამეურნეო/ბუნებრივი პროდუქტი ან სასარგებლო პროდუქტი, რომელიც ეხება სოფლის ცხოვრებას, მაგრამ არ არის სპეციფიური რეგიონისთვის (პური, სტაფილო, ქოთანი...)	➔ ქულა:	1
სასოფლო-სამეურნეო/ნატურალური პროდუქტი ან სასარგებლო პროდუქტი, რომელიც ეხება რეგიონისთვის დამახასიათებელ რამეს (მაგ. საზამთრო, მინერალური წყალი,...)	➔ ქულა:	3
პროდუქტი ტიპურია რეგიონისთვის და სხვაგან არსად იწარმოება (მაგ. პანკისური ჰალვა...)	➔ ქულა:	5
<b>დამატებითი ქულა:</b> თუ პროდუქტის სახელი შეიცავს რეგიონის აღმნიშვნელ სახელს (მაგ. კახური ჩურჩხელა...)	➔ ქულა:	+1
<b>დამატებითი ქულა:</b> უშუალოდ პროდუქტის შეფუთვის ან ეტიკეტის ილუსტრირებული ნაწილი დაკავშირებულია კონკრეტული რეგიონის მოტივებთან.	➔ ქულა:	+1

თუ პროდუქტები უფრო ხელოვნების ნიმუშებია (მოტივი და მხატვრული ნამუშევარი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროდუქტის სასარგებლო თვისებები), მათი შეფასება შესაძლებელია რეგიონული მოტივის გამოხატველი ნამუშევრების სტატუსით.

კომიტეტს შეუძლია დამატებითი ქულების მინიჭება (თუმცა ამ ქვეკრიტერიუმისთვის 5 ქულა მაქსიმუმია): მაგ.

- სამხატვრო ნამუშევრებისა და სამომხმარებლო პროდუქციის დასახელებისათვის (მაგ. „კახური შემოდგომა“ ) - 1 დამატებითი ქულა;
- პროდუქტის შეფუთვაზე, ეტიკეტზე გამოსახულია რეგიონის კონკრეტული მოტივი - 1 ქულა;

*ვერიფიკაცია: კომისიის განხილვა პროდუქტის ნიმუშის / ფოტოსურათის / აღწერის მიხედვით.*

**ე) პროდუქტის განსაკუთრებული თვისებები**

პროდუქტის ხასიათი ან სხვა არაჩვეულებრივი თვისებები ძალიან კარგად წარმოადგენს რეგიონს. პროდუქტის ხასიათს აფასებს სასერთიფიკატო კომისია პროდუქტის ნიმუშის საფუძველზე (დასაბუთებულ შემთხვევებში, ფოტოში ან განაცხადში მოცემული პროდუქტის თვისებების დეტალურად აღწერის საფუძველზე). კომისიას შეუძლია 0 – დან 5 ქულის მინიჭება;

სასერთიფიკატო კომისია აფასებს პროდუქტს (შეფუთვის ჩათვლით) ზუსტი დამუშავების, ფუნქციონალური, ორიგინალობის, ესთეტიკური, სენსორული თვისებების (გემო, სუნი და ა.შ.) და გარემოსდაცვითი პრინციპების მიხედვით (მსგავსი ტიპის პროდუქტის სტანდარტთან შედარებით).

კომისიას შეუძლია გაითვალისწინოს სხვა ჯილდოები: ხარისხის, ინოვაციის ან გარემოსდაცვითი კეთილგანწყობის, (ეროვნული) ან ევროპული ხარისხის სერთიფიკატები.

თუ პროდუქტი მზადდება ე.წ. დაცულ სოციალურ საამქროში ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ, მას ენიჭება მინიმუმ 3 ქულა.

თუ სოფლის მეურნეობის ან ტყის (ბუნებრივი) პროდუქტების მწარმოებელი კომპანია მუშაობს დაცული ლანდშაფტის არეალის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული რეგლამენტის შესაბამისად და პროდუქტი ან ნედლეული ამ ტერიტორიიდან მოდის (ნაწილობრივ მაინც), მას ენიჭება მინიმუმ 3 ქულა.

*ვერიფიკაცია: პროდუქტის ნიმუშისა და ფოტოების წარდგენა და პროდუქტის არაჩვეულებრივი თვისებების წერილობითი აღწერა ან სერთიფიკატების ან ჯილდოების ასლები.*

---

*!!! სასერთიფიკატო კომისიას უფლება აქვს უარი თქვას ბრენდის მინიჭებაზე იმ პროდუქტისთვის/კომპანიისთვის, რომელიც ეწინააღმდეგება ბრენდის მიზანს და ეთიკურ პრინციპებს, ზოგად ესთეტიკურ განცდას ან სხვაგვარად შეიძლება ზიანი მიაყენოს ბრენდის ცნობადობას ან ბრენდის ავტორიტეტს.*